სსიპ "აწარმოე საქართველოში"

02 / აპრილი / 2024 წ.

KA020129648519824

№ **ს-25**

ბრძანება

საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, რომან კეჟერაშვილის 2024 წლის 1 აპრილის N697-7/EG მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამა.

2. დაევალოს სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტს უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, ექსპორტის მიმართულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან (მეწარმეობის პროგრამები (ორგანიზაციული კოდი 24 07 02 01 01)).

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს - თორნიკე ზირაქიშვილს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო №1).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

თორნიკე ზირაქიშვილი

საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამა

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია ექსპორტის სტიმულირება ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალურად მონაწილეობის გზით.

1. <u>ტერმინთა განმარტება</u>

სააგენტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აწარმოე საქართველოში“;

საერთაშორისო ღონისძიება - დანართი N4-ით განსაზღვრულ ქვეყნებში გასამართი გამოფენა, კონფერენცია, შოურუმი, ე.წ. „პოპ-აფი“და/ან მსგავსი ხასიათის ღონისძიება;

აპლიკანტი - ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც სააგენტოს ექსპორტიორთა პლატფორმაზე tradewithgeorgia.com გააკეთა განაცხადი;

კვალიფიციური აპლიკანტი - პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ კომპანიების დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს და გადალახავს ამ ბრძანების დანართი N2-ით განსაზღვრულ კომპანიების შერჩევის კრიტერიუმების მინიმალურ ბარიერს;

ბენეფიციარი - მეწარმე სუბიექტი, რომელთანაც ამ ბრძანების შესაბამისად ფორმდება ხელშეკრულება;

საწარმოს ზომითი კატეგორია - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული კატეგორია (განთავსებულია ვებ გვერდზე: reportal.ge). თუ ინფორმაცია კომპანიის ზომითი კატეგორიის შესახებ არ არის განთავსებული ვებ გვერდზე reportal.ge, მაშინ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობით დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ცნობა კომპანიის კატეგორიის შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან (saras.gov.ge) ან/და ანგარიშგების პორტალიდან (reportal.ge), ან წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი წესით დამოწმებული ბოლო ფინანსური წლის ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი). ამ შემთხვევაში საწარმოს ზომითი კატეგორიის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს მხოლოდ შემოსავლის კომპონენტში.

პრიორიტეტული სექტორები (მიმართულებები) საექსპორტო პოტენციალის მქონე პრიორიტეტული სექტორების**/**პროდუქტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე,, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის Nს-56 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხა, გარდა: ღვინისა და ყურძნისეული სასმელებისა, ასევე, ბიზნეს საკონსულტაციო და არქიტექტურის სექტორისა;

რელევანტური სერტიფიკატი - გაცემული აკრედიტებული ორგანოს ან/და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და რომელიც კავშირშია ბენეფიციარის მიერ წარმოებულ, საექსპორტო პროდუქციასთან;

თანადაფინანსება - პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ გასაწევი/გაწეული ხარჯის პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ანაზღაურება;

კვალიფიციური ხარჯი:

- ღონისძიების ფარგლებში სივრცის ქირავნობა, რომლის ჯამური ფართობი არ აღემატება 20 კვ.მ.-ს;
- ღონისძიების ფარგლებში სტანდარტული სტენდის მშენებლობა - ე.წ. ,,Standard Booth/Shell Scheme* (ღონისძიების ორგანიზატორის მიერ გადაცემული);
- საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი და მათ შორის სავალდებულო მარკეტინგული (კატალოგში დაბეჭდვისა და გამოფენის ვებგვერდზე განთავსების ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეგისტრაციო, დასუფთავების ან/და დაზღვევის ხარჯები, ხოლო მომსახურების სექტორის შემთხვევაში, ასევე, მონაწილეობის (ბილეთის) საფასურიც, მაგრამ არა უმეტეს ორი წარმომადგენლისა თითოეულ ღონისძიებაზე;

დანართი N1 - აპლიკაციის დასაშვებობის კრიტერიუმები;

დანართი N2 - აპლიკანტის შერჩევის კრიტერიუმები:

დანართი N3 - პრიორიტეტული ღონისძიებები;

დანართი N4 - სამიზნე საექსპორტო ბაზარი;

2. საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი

საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას სააგენტო ავრცელებს ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის: **ელექტრონული ფოსტის, ვებ-გვერდების tradewithgeorgia.com ან/და enterprise.gov.ge ან/და სააგენტოს სოციალური ქსელის მეშვეობით.**

3. პროგრამის ბიუჯეტი, თანადაფინანსება და კომპანიების შერჩევის წესი

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით მეწარმეობის პროგრამების ექსპორტის მიმართულებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დაფინანსდეს საერთაშორისო ან/და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

3. სააგენტო უზრუნველყოფს კვალიფიციური ხარჯების თანადაფინანსებას. ამასთან, დაინტერესებული კომპანია უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს კვალიფიციური ხარჯის ნებისმიერ კომპონენტზე ცალკე ან ერთობლივად.

4. აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების დანართი N1 - ით განსაზღვრულ კომპანიების დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს. ამის შემდგომ აპლიკანტმა უნდა გადალახოს ამ ბრძანების დანართი N2-ით განსაზღვრული კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებით დადგენილი მინიმალური ბარიერი, რის შემდგომაც მას მიენიჭება კვალიფიციური აპლიკანტის სტატუსი.

5. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მე-2, მე-3 და მე-4 ზომითი კატეგორიის საწარმოებს.

6. განაცხადების მიღება შესაძლოა, შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მოცულობა გაუტოლდება თითოეული საბიუჯეტო წლისათვის სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მაქსიმალურ ჯამურ მოცულობას. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ აპლიკანტს, რომლის განაცხადიც სააგენტოში წარმოდგენილ იქნა უფრო ადრე, ,,დროში პირველი, უფლებაში პირველი“ პრინციპის შესაბამისად (ე.წ. First come, first serve).

4. <u>თანადაფინანსების სქემა</u>

საწარმოს კატეგორია	**თანადაფინანსების პროცენტი კვალიფიციური ხარჯიდან**	**თანადაფინანსების წლიური მაქსიმალური ოდენობა**
II კატეგორიის საწარმო	60%	არაუმეტეს 10 000 ერთეული ვალუტა (ევრო; აშშ დოლარი; ფუნტი სტერლინგი)
III კატეგორიის საწარმო	80%	
IV კატეგორიის საწარმო	90%	

1. თანხის ათვისება შესაძლებელია, როგორც ერთიანად, ასევე, ეტაპობრივად. კომპანიისთვის გათვალისწინებული წლიური ლიმიტის დაანგარიშება ხდება ღონისძიების ჩატარების თარიღის მიხედვით და არა სააგენტოს მიერ ბენეფიციარისათვის თანხის ფაქტობრივი ანაზღაურების მიხედვით. ლიმიტის დარღვევად არ ჩაითვლება სხვადასხვა ვალუტით თანხის ათვისება დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.[1]
2. თუ საერთაშორისო ღონისძიების მასპინძელ ქვეყანაში მოქმედებს პროგრამით გათვალიწინებული ვალუტისგან განსხვავებული ფულის ერთეული და ამავდროულად ღონისძიების ორგანიზატორის მიერ მომსახურების ღირებულების განფასება

[1] პირმა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში შეიძლება ისარგებლოს 2000 ევროთი ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე და შემდეგ 3000 ფუნტ სტერლინგით მეორე გამოფენაზე.

განსხვავებულ ვალუტაში ხდება, მაშინ პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია ინვოისი ან/და შესაბამისი გადახდის დოკუმენტი წარმოადგინოს აშშ დოლარში.

5. ანაზღაურების წესი

1. ბენეფიციარის მიერ ინვოისის, გადახდის ქვითრის (სრული გადახდა) და საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტომასალის წარმოდგენის შემდგომ ანაზღაურდება თანხა თანადაფინანსების სქემის/ცხრილის შესაბამისად (სააგენტო ბენეფიციარს ურიცხავს თანხას), ღონისძიების დასრულებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში.
2. სააგენტო უფლებამოსილია მე-4 კატეგორიის საწარმოს წინასწარ აუნაზღაუროს შესაბამისი მომსახურების ღირებულება, მის მიერ წარმოდგენილი, სერვის პროვაიდერის/ორგანიზატორის მიერ გამოწერილი ინვოისის, შესაბამისი გადახდის ქვითრის (კვალიფიციური ხარჯიდან საკუთარი 10%-იანი თანამონაწილეობა) და ბენეფიციარი კომპანიის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე[2]. ამ შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა განხორციელდება მომსახურების გამწევი პირის ანგარიშზე. ბენეფიციარმა ღონისძიების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტომასალა და/ან სხვა დოკუმენტაცია (მათი არსებობის შემთხვევაში).
3. საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ ღონისძიებასთან დაკავშირებული, გაწეული ან/და გასაწევი მიზნობრივი/კვალიფიციური ხარჯის მიხედვით. აღნიშნული დაიანგარიშება კვალიფიციური ხარჯის კომპონენტების დაჯამებით. სააგენტოს თანადაფინანსების თანხა გამოითვლება აღნიშნული ჯამის, შესაბამის პროცენტულ ოდენობაზე ნამრავლით, თანადაფინანსების სქემის შესაბამისად.
4. საერთაშორისო ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სააგენტოს მხრიდან არ ანაზღაურდება.

6. <u>ბენეფიციარი პირის ვალდებულებები</u>

1. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ ბრძანებით, ხელშეკრულებით და ღონისძიების ორგანიზატორის მიერ დადგენილი მოთხოვნები;

[2] დასაბუთებული მომართვა გულისხმობს აპლიკანტის მიერ მოტივირებულ ახსნა-განმარტებით წერილს, სადაც დეტალურად აღწერს ყველა იმ მიზეზს, რის გამოც ითხოვს თანხის წინასწარ (ავანსად) ანაზღაურებას. სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, რომ აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით აპლიკანტისგან მოითხოვოს ღონისძიებაზე დასწრებისთვის აუცილებელი დოკუმენტები, ისეთები როგორებიცაა: ქვეყანაში შესვლის ნებართვა (ვიზა), სასტუმროს ჯავშანი, ფრენის ბილეთი და ა.შ.

ბ) საგამოფენო სტენდზე დაიტანოს სააგენტოს ლოგო ან/და სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული განახორციელოს შესაბამისი ბრენდბუქის შესაბამისად;

გ) ყველა გამოყენებულ საკომუნიკაციო არხში ახსენოს სააგენტო, როგორც მხარდამჭერი ორგანიზაცია;

დ) სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე - სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სააგენტოს წარმოუდგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის გამოფენაში მონაწილეობის დამადასტურებელი ფოტომასალა, ინფორმაცია მოლოდინებსა და გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. ასევე, განხორციელებულ B2B შეხვედრების რაოდენობასა და ახალ პარტნიორებზე.

ე) საერთაშორისო ღონისძიებაზე გამგზავრების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში გონივრულ ვადაში, მაგრამ ღონისძიების გამართვამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა მოახდინოს რეაგირება და აცნობოს სააგენტოს. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია სააგენტოს აუნაზღაუროს ამ ღონისძიების ორგანიზატორისათვის სააგენტოს მიერ ავანსად გადახდილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სააგენტოს რეპუტაციული ან/და ფინანსური ზიანი;

2. ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში სააგენტო იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს თანადაფინანსების თანხა ან/და უკან მოსთხოვოს ბენეფიციარს, თანადაფინანსებისათვის სააგენტოს მიერ წინასწარ გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

დანართი N1

კომპანიების დასაშვებობის კრიტერიუმები	
1	აპლიკანტის საქმიანობა ექცევა დანართი N3-ით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საერთაშორისო ღონისძიებათა ჩამონათვალში
2	საერთაშორისო ღონისძიება ხორციელდება დანართი N4-ით განსაზღვრულ სამიზნე საექსპორტო ბაზრებზე
3	საერთაშორისო ღონისძიებაზე წარსადგენი პროდუქცია/მომსახურება იწარმოება აპლიკანტის მიერ და ღონისძიების შინაარსის შესაბამისია
4	აპლიკანტს, სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისას, არ უფიქსირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება
5	საერთაშორისო ღონისძიება არ არის სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტის კონკრეტული წლის კალენდარში ან/და სამოქმედო გეგმაში
6	მეწარმე სუბიექტს არ აქვს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე)

7	აპლიკანტი არ ირიცხება მევალეთა რეესტრში
8	მომართვა ხორციელდება ღონისძიების დაწყებამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღით ადრე

დანართი N2

კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები

1. **ყველა პრიორიტეტული სექტორი საფეიქრო და სათამაშოების წარმოების სექტორის გარდა**

	კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები	**ქულა**
1	საწარმოს ზომითი კატეგორია	
	II კატეგორიის საწარმო	0.5
	III კატეგორიის საწარმო	1.5
	IV კატეგორიის საწარმო	1
2	რელევანტური სერტიფიკატი	
	დანერგილი	2.5
	დანერგვის პროცესში	1
3	ექსპორტიორი საწარმო (ექსპორტის დეკლარაცია)	1
4	კომპანიის საწარმოო პოტენციალის უტილიზაციის მაჩვენებელი	0.3-1
5	პირი არის დონორი ორგანიზაციის ბენეფიციარი	0.5
	მინიმალური ბარიერი	2.5
	მაქსიმალური ქულა	6.5

2. **საფეიქრო და სათამაშოების წარმოების სექტორი**

	კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები	ქულა
1	საწარმოს ზომითი კატეგორია	
	II კატეგორიის საწარმო	0.5
	III კატეგორიის საწარმო	1.5
	IV კატეგორიის საწარმო	1
2	რელევანტური სერტიფიკატი	
	დანერგილი	2.5
	დანერგვის პროცესში	1
	გამოყენებული ნედლეულის სერტიფიკატი	1

3	ექსპორტიორი საწარმო (ექსპორტის დეკლარაცია/ საფოსტო დოკუმენტი[3])	1
4	კომპანიის საწარმოო პოტენციალის უტილიზაციის მაჩვენებელი	0.3-1
5	პირი არის დონორი ორგანიზაციის ბენეფიციარი	0.5
	მინიმალური ბარიერი	2.5
	მაქსიმალური ქულა	6.5

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების (ICT) სექტორი;

კომპანიის შერჩევის კრიტერიუმები	ქულა
1. საწარმოს ზომითი კატეგორია	
II კატეგორიის საწარმო	1.5
III კატეგორიის საწარმო	1
IV კატეგორიის საწარმო	0.5
2. ექსპორტიორი საწარმო (შესაბამისი ხელმოწერილი კონტრაქტი, რომელიც ადასტურებს სერვისის ექსპორტს ან/და საერთაშორისო კომპანიის სტატუსი (შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული სერტიფიკატი))	2.5
3. დასაქმებულთა რაოდენობა	
20-49	0.5
50 -100	1
>100	1.5
4. დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით ადგილობრივი კონტრაქტ(ებ)ი (შესაბამისი ხელშეკრულება)	0.5
მინიმალური ბარიერი	3.5
მაქსიმალური ქულა	6

საწარმოო რესურსების უტილიზაციის მაჩვენებლის შეფასების კრიტერიუმები

18 თვეზე მეტი, უტილიზაცია ≤ 30 %	0.3
18 თვეზე ნაკლები, უტილიზაცია ≤ 30, მაგრამ არანაკლებ 10 %	0.5
უტილიზაციის მაჩვენებელი ≥ 90 %	0.7
უტილიზაციის მაჩვენებელი მერყეობს 31-89 % -ის ფარგლებში	1

[3] **საფოსტო დოკუმენტი:** ტვირთის ან პროდუქციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია ნებისმიერი საერთაშორისო ან ადგილობრივი გადამზიდავი/საკურიერო კომპანიის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, ჩვეულებრივ საფოსტო გზავნილს (მათ შორის არადეკლარირებულს), გზავნილის ნომერს, გადამზიდავის მიერ გაცემულ დანიშნულების ქვეყანასთან დაკავშირებულ გადაცემის დამადასტურებელ ცნობას ან კვალიფიციურ სისტემაში რეგისტრირებულ შესაბამის დოკუმენტს. საფოსტო დოკუმენტი არ არის საჭირო წარმოადგენდეს ექსპორტის დეკლარაციას და არ გამორიცხავს სხვა დოკუმენტურ ფორმებს, რომელიც ადასტურებს პროდუქტის გაგზავნას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

4. საწარმოო პოტენციალის გამოთვლის წესი (კრიტერიუმი 4):

საწარმოო პოტენციალის კრიტერიუმში მაქსიმალური ქულა შეადგენს ერთს (1), რომელიც ეფუძნება წარმოების პოტენციალს. წარმოების პოტენციალის გაზომვისთვის, აპლიკანტმა სარეგისტრაციო ფორმაში უნდა მიუთითოს:

ა) წინა, დასრულებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული ერთეულის რაოდენობა

ბ) სულ რამდენი ერთეულის წარმოების შესაძლებლობა აქვს საწარმოს;

საწარმოო პოტენციალის გასაზომად ველში „ა“ შეყვანილი მონაცემი იყოფა ველში „ბ“ მითითებულ მონაცემზე და მრავლდება 100%-ზე.

- იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი დაფუძნებულია 18 (თვრამეტი) თვეზე მეტი ვადით და ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 30% ან 30%-ზე ნაკლები ენიჭება 0,3 ქულა.
- იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი დაფუნებულია 18 (თვრამეტი) თვეზე ნაკლები ვადით და ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 30% ან 30%-ზე ნაკლები პროცენტის (მაგრამ არანაკლებ 10%-ისა) რესურსი, ენიჭება 0,5 ქულა.
- თუ პირს ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალის 90% პროცენტი ან მეტი, მაშინ პირს ენიჭება 0,7 ქულა.
- თუ პირს ათვისებული აქვს საწარმოო პოტენციალი, რომელიც მერყეობს 31%-დან 90%-მდე, პირს ენიჭება მაქსიმალური 1 ქულა.

დანართი N 3

პრიორიტეტული საერთაშორისო ღონისძიებები

1. პრიორიტეტულ საერთაშორისო ღონისძიებათა ჩამონათვალი მოიცავს გერმანიის საერთაშორისო გამოფენათა ასოციაციის https://auma.de/en, ოფიციალური გვერდიდან, ჩამონათვალს.
2. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ღონისძიება არ იძებნება დანართი N3-ის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ბაზაში, სააგენტოს აქვს დისკრეციული უფლება, მომართვის საფუძველზე, ინდივიდუალურად განიხილოს შესაბამისი შემთხვევა. აღნიშნულის შესახებ ექსპორტის დეპარტამენტი არგუმენტირებულ დასკვნას (მოხსენებითი ბარათი) წარუდგენს სააგენტოს დირექტორს.

დანართი N 4

სამიზნე საექსპორტო ბაზარი

1	GCC-ში (Gulf Cooperation Council სპარსეთის ყურის არაბული მონარქიების თანამშრომლობის საბჭო) შემავალი ქვეყნები	ყველა პრიორიტეტული სექტორი

2	EFTA-ში (European Free Trade Asosiation ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია) შემავალი ქვეყნები	ყველა პრიორიტეტული სექტორი
3	ევროკავშირის ქვეყნები	ყველა პრიორიტეტული სექტორი
4	აშშ	ყველა პრიორიტეტული სექტორი
5	კანადა	ყველა პრიორიტეტული სექტორი
6	იაპონია	ყველა პრიორიტეტული სექტორი
7	დიდი ბრიტანეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
8	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	ყველა პრიორიტეტული სექტორი
9	სამხრეთ კორეა	ყველა პრიორიტეტული სექტორი
10	სინგაპური	ყველა პრიორიტეტული სექტორი
11	ყაზახეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
12	ყირგიზეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
13	უზბეკეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
14	თურქეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
15	სამხრეთ აფრიკა	ყველა პრიორიტეტული სექტორი
16	ინდოეთი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
17	ბრაზილია	ყველა პრიორიტეტული სექტორი
18	ისრაელი	ყველა პრიორიტეტული სექტორი
19	ეგვიპტე	ყველა პრიორიტეტული სექტორი
20	სომხეთი	მხოლოდ სამშენებლო პროდუქტები, ცხოველის საკვები და ვეტერინალური პროდუქტები
21	აზერბაიჯანი	მხოლოდ სამშენებლო პროდუქტები, ცხოველის საკვები და

		ვეტერინალური პროდუქტები
22	ინდონეზიის რესპუბლიკა	ყველა პრიორიტეტული სექტორი